ბრძანება:**ბ47. 4723201001**
თარიღი:**20/07/2023**

ბრძანება N 65

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 27 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართლდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მალხაზ წიქორია

1.2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N45-ში მდებარე 1150.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.116), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N51-ში მდებარე 5828.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.266), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N24-ში მდებარე 48644.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ - 28.01.22.267), დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N24-ში მდებარე 27629.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.01.22.268) და დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 66.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.01.22.134) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2023 წლის ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე